მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N10

ქ. მარნეული 11.08.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, როვშან ისკანდაროვი, ბესიკ გელენიძე, ვასილ ხახულაშვილი, ზურაბ ჭონიაშვილი, ადილ ალიევი, გივი გიორგაძე, ვანო ბურნაძე, არსენ ახვერდიანი, ლევონ აკოპიანი, ომარ ირიშოვი, ანარ პირიევი, მახირ ბაირამოვი, ნაზილა მუსტაფაევა, გიუნაშ რიზაგულიევა, აიაზ ხუდიევი, თამარ აბასოვა, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე, რამალ ახმედოვი, ნარგიზა ალიევა, მეხტი ასკეროვი, მარინა პეტროვა.

არ ესწრებოდა: ტარიელ მამედოვი, თეონა ფარჯიანი, ლაშა ქველაძე, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მაია გელაშვილი, ადილ გურბანოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, მახარატ ალახვერდიევი, დავით ქიმაძე.

სხდომას ესწრებოდა - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი,** მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ნინო დეკანოიძე,** მარნეულის მუნიციპალილტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **მამუკა შუბითიძე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი **ია ესებუა,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და კომპიუტერული მომსახურების განყოფილების უფროსი **კოტე ბოჭოიძე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსები.

ასევე ესწრებოდნენ: **მარნეული TV–ს** წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI

1.,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N02 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

5. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

6. სოციალური საკითხები.

7. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 აგვისტოს N32-322221132 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით ერთხმად (მიღებულია დადგენილება N14. 11.08.2022 წ. წინააღმდეგი წავიდა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები რამალ ახმედოვი და მარინა პეტროვა, ხოლო ნარგიზ ალიევამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს შესათანხმებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 აგვისტოს N32-322222270 წერილით შემოსული ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი

თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №12 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (მიღებულია განკარგულება N37. 11.08.2022 წ. წინააღმდეგი წავიდა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები რამალ ახმედოვი და მარინა პეტროვა, ხოლო ნარგიზ ალიევამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 04 აგვისტოს N32-3222216109 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი დიოკნისის ნაცვლად ახალი დიოკნისის დაფიქსირების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (მიღებულია დადგენილება N15. 11.08.2022 წ. წინააღმდეგი წავიდა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები რამალ ახმედოვი და მარინა პეტროვა, ხოლო ნარგიზ ალიევამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N16. 11.08.2022 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს შესათანხმებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N81 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N36. 11.08.2022 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N38. 11.08.2022 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეათე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე